

გაყვანილი ღირს:	მან.	კ.
10	6	—
11	5	50
10	4	75
9	3	50
8	2	75
7	1	50

# ივერია

რედაქცია ქუჩა მ. მ. კურაძის  
ნიკოლოზის ქუჩა, კორპუსი № 33  
ტფილისი.  
გაზეთის დასაბარებლად  
და განცხადებათა დასაბეჭდად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა  
გამართ. საზოგადოების კანკელითა.  
ფასი განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ  
16 კაპი, მეორეზედ—8 კაპი.

კალკე ნომერი—ერთი შაური  
„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## საავითარო საქონლით მოეჭრე

### ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

# დ ე კ მ

იმყოფება ტფილისში მუხრანთან ქუჩაზე, ქალაქის საქურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსახელელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საქირო საგნებს: სარეცხისათვის, სასმელებისთვის, ქურჭლისათვის და სხვ.

დგომში ბოლომდე მოიპოვება აგრეთვე საზღვარ გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩასა, დ. წ. საბაჯი-შეილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.  
(100—43—25)

## ტფილისის კირძო სამკურნალო

მისიელ გედევანიშვილისა, კუჭის, ნივლელოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (გორანტოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

გ. ა. ჭაჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მასხალ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლოზა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუხიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ბ. სახლშენიშვილი კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ს. მ. შატალოვა—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. პაჭკაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაჯანი. 12—1 საათ.

ქ. გ. ფედოროვა შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარტოვი—საქირურგო—12 1/2—1 1/2 საათ. სამშაბათობით 3—4.

ა. დ. ბეგთაშვილი—სიფილისისა, კანისა და საშარდისი—1 1/2—2 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპი, ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

### შამიწიკრულოვა

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულს ბაზრობას შემოსწირვის:

ქ. ნინო სვიმონის ასულის ორბელიანის მიერ შეკრებილი: გ. ს. მისნიკოვის თამბაქოს მაღაზიამ—5 ლამაზი ყუთი გილზებით; სავაქრო სახლმა „ი. დ. როტინოვისამ“ 3 ბუა, 4 წინ-ასაფარებელი და 2 ქამარი; მ. ო. იზმიროვისა და ს. მ. ლაზარევის მეგვიდრეთა მაღაზიამ—2 საწერელი, 24 კარანდაში, 3 პენალი, 5 საბავშვო წიგნი, 3 კარგი ყუთი ქაღალდებითა და კონვერტებით; მ. მაიხელსონმა—2 პორტსიგარი, 7 სხვა-და-სხვა ძვირ ფასი ნივთი, სულ 30 მანეთისა.

გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილმა, მ. დიმიტრი და გიორგი დავითის ძე ჯმუხაძეებმა—საქერავი მაშინა, 7 პერანგი, 3 შარვალი, 4 ყაბალახი, 5 წყვილი საბავშვო ფეხსაცმელი; ოლგა ჯიჯავაძის ქალმა—ერთი შალი, ერთი ცხვარ-სახოცების ჩასაწყობი.

27-ჯერ გაუმართნია წამოდგენა. 27 წარმოდგენიდან 8 პიესა სულ ახლად უთამაშნიათ ამ წელსა, 4 ორჯერ გაუმეორებით, 2-ჯერ ავლაბრის ნაწილში წარმოუდგენიათ და ერთხელაც საავსო წარმოდგენა გაუმართნიათ, რაცა პირველი მაგალითია სექციის მოქმედებაში. გარდა ამისა, ამ ბოლოს წელს სექციას საკონცერტო განყოფილებისათვისაც ყურადღება მიუქცევია და 4-ჯერ გაუმართნია კონცერტი, რომლისაც ხალხი დიდად კმაყოფილი დარჩენილა. მთელს წლის განმავლობაში წარმოდგენებსა და კითხვებს დაჰსწრებია სულ 7,213 კაცი, ე. ი. თითო წარმოდგენას 250 კაცი. ყველაზედ მეტი დამსწრენი ყოფილან საღამოს წარმოდგენებზედ, დილისაზედ-კი შედარებით ნაკლებად უვლია ხალხსა.

\* \* \* ბაქოში მუშები დიდ გაჭირვებაში ჩაკვირულან თურმე. ქარხნებიდან მუშებს მთელის დასობით იხიზვენ. ბევრგან მუშები, შიმშილით რომ არ ამოწყდნენ, რიგრიგობით მუშაობენ და ასე თითო გროშს იღებენ. უკვე შეუდგენენ შემოწირულების შეკრებას, მაგრამ რას გააწყობს შემოწირულება იქ, სადაც ულუქმაპურად დიდძალი მუშა დარჩენილი.

\* \* \* როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, ხშირის წვიმებისა გამო მოსავალს კარგი პირი თურმე უჩანს და ბალახიც უხვია, მხოლოდ ცნობილი „პოტენდოტური ბაღლინჯო“ უჩნდება ჯეჯილს.

\* \* \* კავკასიის საიუბილეო გამოფენის დროს, 15-დან 20 სექტემბრამდე, ტფილისში გამართული იქმ-

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა (კუჩაში, გორანტოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩაქვაძანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ს. ა. პაბანასიანი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

გ. ი. გეგედიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ბ. კარაშვილიანი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ნ. ნ. როსტომბეგოვა. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ს. ნ. შავკაცია. 6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპი.) და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვა. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. ანგინაძე. 11—1 დღე. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსას“, აუტრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკის ექიმის დანიშნით.

დიქტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардиана. Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

**ს ა ლ ა მ ო თ ი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ა. ბუღაჯოვა—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

გ. გ. მადლაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

## ახალი ამბავი

\* \* \* სახალხო წარმოდგენებისა და კითხვის გამართველს ქართულს სექციას ამ წლის განმავლობაში სულ

კაკური მინისტრად გახდა, მან ნამდვილი ნიჭი გამოიჩინა მაღალ ღირსების მართველ კაცისა. ბევრჯერ აღარებენ კაკურს ბისმარკთან, რადგან ორივემ დიდი ღვაწლი მოუტანა თავიანთ საზოგადოებს მის შერატების დროს, მალოდ საშუალებანი კაკურისა ძალიან განსხვავდება ბისმარკის მოქმედებისაგან. კაკური ერთის მხრივ წინდახედული იყო და მეორეს მხრივ წინდაუხედავი: კაკური ჰმეველოდა გარიბალდის, რომლის აზრები განესხვავებოდა მის აზრებს, კაკური ამანევებდა ლაფარინას, რომელმაც დაარსა იტალიელების ეროვნული საზოგადოება. კაკური არ იყო ალტაცე-ბული მარტო ძველ ისტორიის და ძველ წინაპრების დიდებით, იგი სწულდა ხალხის სიღარიბის გამო და ამისათვის ჰსურდა მიენიჭებინა იტალიისათვის კანონიერი ადგილი სხვაერთა შორის. თუმცა კაკური ყოველთვის პრაქტიკულს გზას ადგა და ხელოვნურად სარგებლობდა ყოველ გარემოებით იტალიელების სასარგებლოდ, ამასთანავე ყოველთვის

## ვალენტონი

მგზავრის წარმომადგენელი რომიდან. VII\*)

როგორც ვთქვით, წინად, 1870 წლამდე, რომი დამოკიდებული იყო მარტო პაპის უფლებებისაგან და მის შინაგან საერო საქმეს განაგებდნენ ძველ რომაელების კეთილშობილ ძეგლ მთამომავალნი, რომელთა გამაოცებელი ძალა სხვა-და-სხვა სოციალურ და ბუნებრივ მიზეზების გამო ნელ-ნელა სუსტდებოდა. ამ დროსვე იტალიის ხალხი, დაყოფილი პატარ-პატარა ნაწილებად, სამ საუკუნის მონობის შემდეგ ჰხმარობდა ყოველ თავისს ძაღვსა და ღონეს განათვის უფლებებისა და შერატებისათვის იმ გვარ წესწყობილების ქვეშ, რომელიც დამცველი იქნება მისის დამოუკიდებელ თვით-ცხოვრებისა და თვით-მოქმედებისა. რომი, როგორც უმაჯორესი ქალაქი იტალიისა, როგორც მოწამე ძველი დი-

დებისა, სათავეში უნდა დასდგომოდა იტალიის ერის მისწრაფებას, მაგრამ ვერ შესძლო ამ მოძღვრების აღსრულება სასულიერო წოდების დაბრკოლების გამო, რომელსაც არა სურდა გაემეფა ხელიდან რომის პატრონობა. დიდის ხნის შრომის, ბევრის მახვერპლისა და მრავალ დამარცხების შემდეგ იტალიელები მაინც არ იტებდნენ გულს და მედგრად მისდევდნენ თავიანთ აზრს. ყოველი წოდების იტალიელი, მსაჯული, მამისახლისი, ჯარისკაცი, მღვდელი, ბერი, მოლოზანი, ერთის სიტყვით კაციდან ქალამდე ყველა ფეხზედ იდგა, ყველა იბრძოდა ეროვნულ ერთობისა და ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. ამ ერთობისათვის რომი საქირო იყო როგორც ისეთი ადგილი, სადაც დამკვიდრებულიყო უმთავრესი შემაერთებელი ძალა და საიდგანაც უფრო ადვილად შეიძლებოდა გავლენის გაწვევნი მთელის იტალიის ხალხზედ. ამისათვის 1861 წელს წარედგინა კრებას კაკურის ხელით დაწერილი წინადადება, რომლითაც რომი

გამოცხადებულ იქმნა იტალიის დედა ქალაქად, მაგრამ ამის ასრულება ძნელი იყო, რადგან საფრანგეთი ანუ ნაპოლეონ III მფარველობას უწევდა პაპის. კაკურმა და გარიბალდიმ იმდენი ძალ-ღონე და შრომა შესწირეს როგორც რომის სატახტო ქალაქად გარდაქცევისა, ისე იტალიის შერატებისათვის, რომ არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ მათი მოტანილი ღვაწლი, რომლის კვალი ყოველგან მოსჩანს ესლანდელ რომში.

რაც კაკურს უნდოდა მოეპოვებინა დიპლომატიით, იგივე სურდა გარიბალდის მოეხდინა ბრძოლით, თავამოდებით და გულაღობით; „სიკვილილი, ან რომიო“ ეუბნებოდა გარიბალდი თავისს მეომრებს. კაკურმა სიყმაწვილემივე განუცხადა თანაგრძობა იტალიელებს მიძაობაში ერთობისათვის, რის გამოც ავსტრიის მთავრობა მას მანებებელ კაცად სთვლიდა, თვალყურს ადევნებდა და აღუკრძალა 1833 წელს მოგზაურობა ლომბარდიაში. შემდეგში, როდესაც

იძახდა: „საქიროა წინსვლა და მისწრაფება კარგისკენ“. 1856 წ. კაკურმა, როგორც პიემონტის წარმომადგენელმა პარიზის კონგრესზედ, წარადგინა გეგმა იტალიის შერატებისა ავსტრიის წარმომადგენელის წინაშე და ამით გაიტანა მხოლოდ ზნეობრივი გამარჯვება, რადგან მხოლოდ 1862 წ. ნაპოლეონ III საშუალებით რუსეთმა და პრუსიამ სცნეს იტალია შერატებულ სახელმწიფოდ. რომსა მსთვლიდა კაკური შემაერთებელ ადგილად და ამისათვის ხელს უწყობდა იტალიელების ყოველს მოძრაობას ამ ქალაქისაკენ.

სრულიად სხვა ხასიათისა, სრულიად სხვა მიმართულებისა იყო კაკურთან შედარებით გარიბალდი; იგი სულ სხვა გზას ადგა იმავე აზრის მისაღწევად. მის დროშაზედ გამოსახული იყო იტალიის განთავისუფლება და რომი, როგორც მისი სატახტო ქალაქი. ენერგიით საღსე, მხნე, გამჭირავი, გულადი, მეომარი, თავისის თავის პატრონი, თავისის ძალ-ღონის მოიმიდე, გარიბალდი

\*) იხ. „ივერია“ № 99.

ნება კრება შინა მრეწველობის სახელოსნო საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებაში შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ როგორც ხელოსანთა და მრეწველო, ისე სხვათა. კრებაში მონაწილეობის მიმღებთ სამ სამი მანეთი უნდა შეიტანონ. მოხსენებანი 10 სექტემბრამდე უნდა იქმნას წარდგენილი.

\* \* 21 მაისს, სულის წმინდის მოფენის დღეს, სიონის საკრებულო ტაძარში ტფილისის სამრევლო-სამეცნიერო სკოლების საზოგადო დღესასწაული მოხდება. მწირველი იქმნება საქართველოს ექსარხოსი ფლობიანე, ხოლო წირვებზე ივანელოვებენ ზემოსხენებულ სკოლების მოსწავლეები.

\* \* კახეთის მემამულეს ბ. მ. წერეთელს, რომლის მამული ტფილისიდან 75 ვერსის მანძილზედ მდებარეობს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში განცხადება შეუტანია, რომელშიაც სწერს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ტფილისის საბაღოსნო სკოლის გადატანის საქმე საბოლოოდ გადაწყდა, ჩემს მამულში 10 დესიატინა მიწას დავუთმობ სამუდამოდ სკოლასაო.

\* \* ქალაქის გამგეობის დარბაზში შაბათს, 19 მაისს, სხდომა ექმნება ქალაქის საბჭოს იმ კომისიის, რომელსაც დაევა კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზედ საკუთარს ფარდულის მოწყობის საქმე. როგორც შეთხვევებში უწყიან, საბჭომ ამ ფარდულის მოსაწყობად გადასლა 5,000 მ. კომისია განიხილავს ფარდულის მოწყობის შესახებ საქმეს.

\* \* ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავ. დ. ზ. მელიქიშვილი ამ დღეებში მიემგზავრება ჰეტერბურგში თავად-აზნაურთა ზოგიერთ საქმეების გამო.

\* \* გუშინ, 16 მაისს, ჩვენს გაზეთში აღნიშნული გვექონდა კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის უმთავრეს მომწყობელ კომიტეტის დადგენილება, რომლითაც შეამდგომლობა უნდა აღძრან მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომ

გამოფენისაგან მოსალოდნეო დეფიციტის დასაფარავად გადასდოს მთავრობამ 15,600 მ. კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო საზოგადოების საბჭომ ეს დადგენილება განიხილა სამშაბათს, 15 მაისს და გადასწყვიტა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტის, კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის შეამდგომლობით სთხოვონ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს აღნიშნულ შეამდგომლობის დაკმაყოფილება.

\* \* ამ რამდენისავე ხნის წინად ქალაქის მოურავმა აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ტფილისში დაეარსებინათ ცუდ ყოფა-ქცევის ქალთათვის თავშესაფარი. ქალაქის გამგეობის მეურნეობით წესდება იქნა შემუშავებული და გამგეობამაც, საჭიროდ დინახარა ამ თავშესაფარის დაარსება, დადგინა გადასდოს ყოველ წლით 1,000 მან. მის შესახებ. ქალაქის გამგეობის დადგენილება გადაეცა საბჭოს საფინანსო კომისიას, რომელმაც, სამშაბათს განიხილა ეს საქმე და, მიიღო-რა სახეში ის გარემოება, რომ საბჭოს ამ საგნის შესახებ არა ჰქონია დაწერილებითი პრინციპი-ლური სჯა, რაც კომისიის აზრით ყოველთვის წინააღმდეგ უნდა მოხდეს, ვიდრე საქმის ფინანსური მხარე იქმნება განხილული, და აგრეთვე ის, რომ ქალაქი ქონებრივად მეტად არა სასურველს მდგომარეობაშია და უფრო საჭირო საქმე ბისათვისაც არა ჰყოფნის ფული, ის აზრი გამოსთქვა, რომ თუცა სასურველია ასეთის თავშესაფარის დაარსება, მაგრამ ტფილისისათვის იგი ნაადრევი არისო.

\* \* მომავალს წელში პეტერბურგს განმართება შინა მრეწველობის ნაწარმოებთა გამოფენა. კავკასიაში ამ ნაწარმოებთა შესაკრებლად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუდგია 2,000 მან. და მიუნიღვია შეკრება აკრონომ ბ-ნ ფირალოვისათვის.

\* \* ხვალ, 18 მაისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება თავისს კაცებით, მაგრამ ორჯერვე იძულებულ იქნა უკუ ქცეულიყო ფრანგების ჯარის სიმრავლის გამო, რომელიც მფარველობდა რომს და პაპის. მხოლოდ 1870 წ. 20 სექტემბერს, როდესაც საფრანგეთმა გერმანიის-მიერ დამარცხებული ნაპოლეონ III განდევნა, იტალიის ხალხმა შეიძლო რომის დაპყრობა. ცალკე დეკრეტით იტალიის მთავრობამ მიანიჭა პაპის ხელუხლებლობა მისის პირადობისა, მაღალ დირსების ხარისხი და თავისუფალი მოქმედება სასულიერო სფეროში; თვით რომა და მისი მიდამოები შეერთებული იყო იტალიისთან.

1871 წელს ვიქტორ ემანუელი დიდის ამბით შევიდა რომში და განაცხადა: „დღეიდან იტალია შეერთებული და თავისუფალია, ასე რომ მომავალში მარტო ჩვენგანთა არის დამოკიდებული მისი ბედი და იღბალი, ჩვენ თვით შეგვიძლიან გავხადოთ იგი ბედნიერი“. თუცა გარბალდის გეგმა ძირითად ეწინააღმდეგებოდა იტალიის მთავრობის გეგმას, მაინც 1875 წელს იგი შეუ-

ბა ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც ეს მეორე წელიწადია აქვს მინდობილი სოფელ ნატანტარის წყაროების გაშრობის საქმე და ჯერაც არ დაუსრულებია.

\* \* 15 მაისს, ქალაქის საიქტრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველად ნამყოფს ნ. ა. ალიხანოვის წარუდგენია ქალაქის მოურავისათვის პროექტი ტფილისში ქალაქის ხარჯით ხორცის დუქნების დაარსების შესახებ. ბ-ნ ალიხანოვის გამოანგარიშებით ეს საქმე 47,000 მან. დაუჯდება ქალაქს.

\* \* წლეულს კახეთის გზის შესკეთებლად გადადებულ იქმნა 28,470 მან., ბორჯომის—15,077 მან. და ალბულაღისა—2,083 მან.

\* \* საგუბერნიო მთავრობას მიუნიღვია საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრის ტებენკოვისა და საგანგებო საქმეთა მთხელის ლუცენკოსათვის „მეშინათა“ გაგეოს რევიზია.

\* \* ტფილისის სახალხო სახლის ამწენებელ კომისიას უკვე შეუძენია მიწა კიროჩინისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხეში 500 ოთხკუთ. საყ. სახალხო სახლის ასაგებად.

\* \* კვირას, 20 მაისს, მუშტაიდში სახალხო სეირნობა იქმნება გამართული უფასოდ და იათფისაჲს სასადაღოს სასარგებლოდ.

\* \* უსხველ სასოკადების დირექტორს რომის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გასამართავად 300 მან. გადაუდგია.

\* \* შაქმინდაზედ ფუნჯულების გაყვანის პროექტი ტფილისის გუბერნატორს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წარუდგენია დასამტკიცებლად.

\* \* ნათელხის სამრეწველო-საეკლეზიო სკოლა მომავლის წლიდან გაუქმებული იქმნება.

\* \* ხვალ, 18 მაისს, სამხედრო დეპარტამენტის სასამართლოში განხილულ იქმნება საქმე შტაბს-კაპიტანის კონიაშვილისა, რომელსაც უფროსის შურგანტოვა ჰბრალდება.

\* \* როგორც „ხ. შამ.“-ს ქუთაისიდან სწერენ, ადგილობრივ ზოლიც მესიტერს ლისოვსკის განკარგულება

მოუხდენია ქუთაისის თეატრის დახურვის შესახებ, რადგან, ბ-ნ ზოლიცმესიტერის აზრით, თეატრის გამგეთა უუხრადღებობის გამო ბუგრი არა სასურველი ხალხი შედის თეატრში უბილყოფად. გარდა ამისა, სკამები არ არის მიმაგრებული და ამის გამო მსურველები ხშირად არღვევენ სიხუქსაო. თეატრის გამგე კომისიას მაშინვე დაუმაგრებია სკამები და უნდაბობა ბ-ნ ზოლიცმესიტერისათვის, რომ თეატრის მოწყობილობა მოწინებულად საკუბერნო ტენიანობისაგან. ბ-ნ ზოლიცმესიტერს ამ დღესვე შეუცვლია თავისი განკარგულება.

\* \* სოფ. აკეთი (გურია). 7 მაისს ამ სოფელში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: მეღენტი მეკლამე წაღლით შუბლში დასჭრა მისი ერთ-მეგობრე გოჭაშირ მეკლამე, რომელიც ჭრდობის მიზეზით ორის დღის შემდეგ წუთის-სოფელს გამოესალმა. როგორც ადგილობრივ ზოლიცის ბოჭულის გამოძიებამ გამოარკვია, მეკლამეს შორის ღაზარაკი და უსამოვნება, რამაც მეკლამობა გამოაწვია, ბოჭულის გამო (თუთის ხე) მომხდარა. ბოჭული-კი მეკლამეს მეღენტი მეკლამის კუთვნილება უოფილა და არა გოჭაშირისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელს ბოჭულის „გასხევა“ (მოკაფება) მოუხდამებია, რომ ადგილი სადაოდ გაჭადა. „გასხევა“ შემთხვევით მოუხდია მეღენტის გოჭაშირისათვის და შექვდაზარაება:

— ხომ ნამდვილად იცი, რომ ადგილიცა და ბოჭულიც ჩემი საკუთრებაა და შენ რა უფლებით-და „გასხევა“?

— მე უკვე ვიცი ვისიც არისო — უხანსუნია გოჭაშირის, — აქედან დაიკარგე და მივინდა წაღლით და ორჯერ მოუქნევა. მეღენტის უკან დაუხევა და თითხანც აუშართავს წაღლი და ის იყო დაუჭრია კიდეც მოწინააღმდეგე.

განსვენებული გოჭაშირ მეკლამე თავისიკუბურ კაცი იყო. გურია-სამეგრელო-იმერეთის დიდებულთა ოჯახში მას კარგად იცნობდნენ, როგორც კარგს მომედრდეს და „კვიმატი“ ენის მატრანს. ენის გარდა, იარაღის ხმარებაც ძალიან კვიმატად იცნობდა საბრალდომ. არა ერთი და ორი იყო მისგან დაჭრილი და დასახინებული; სულ ცოტა და უმნიშვნელო მიზეზი

საკმაო იყო, რომ მომხმარებელნი და სხვადასხვა ქარაქშიდებულნი დასამაზნა დაეკრებინათ. ერთობ უთავსო ხასიათის კაცი იყო ცხანებულო, რის გამოც მეზობელთა შორის ძალიან ცოტა ჰქვავდა მადლიერი. თუმცა უცოდ-შელოდ მოხუცდა, მაგრამ ადგილის სისხრბე მაინც დიდად სჭირდა და ამ სისხრბე თან გადაიტანა კიდეც. მეკლამე მეღენტი მეკლამე ხალგაზდა, ცოდ-შელოანი და მშრომელი კაცია, ჯერ აქამომდე არავითარს ცუდს საქმეში არ უოფილა შეხინხული.

\* \* 1901 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიასა და სეპარკიო სასწავლებელთან არსებულ სამაგალითო სკოლების შესახად გადადებულ იქმნა: პირველ სკოლისათვის—1000 მან. და მეორისათვის—500 მან.

\* \* ამ რამდენისავე ხნის წინად ტფილისის მახრის სოფელ გამოზრში მოუკლავთ სპარსეთის ქვეშევრდომი იბრაჰიმ ოღლი. ტფილისის პოლიციის მე-7 ნაწილის ბოჭულის შეუტყვია, რომ იბრაჰიმის მეკლამები ტფილისში იმალეობან და გაუგზავნიან მათ აღმოსაჩნად პოლიციის მოხელე, რომელსაც ამ დღეებში კიდეც მოგინია პოლიციის მე-5 ნაწილში ქალანთაროვის ქარვასლაში და დაუტყვია მეკლამები ქერბალაი იბრაჰიმ ოღლი და მამულ-ქერბალაი იბრაჰიმ ოღლი.

\* \* რედაქციამ მიიღო შემდეგი ანგარიში ქუთაისის სათავად-აზნაურთა სასწავლებლის დარბაზ მოსწავლეთა სასარგებლოდ ამ მიზნინარე წლის 26 აპრილს გამართულ საღამოსი. როგორც ანგარიშიდანა ხანს, საღამოდან შემდეგულთა: 1) ბილიტების გასყიდვით 508 მან., 2) პოლიციის გარამების გასყიდვით 48 მან. 5 კაპ., 3) ფოშტითა და ყვავილების გასყიდვით 62 მან. 85 კაპ., 4) ბუფეტოდან 163 მან. 68 კაპ., 5) შემოწირულობა 177 მან. 22 კაპ. და სულ 950 მანეთი. ხოლო ხარჯი ყოფილა: 1) ბუფეტისა 173 მან. 80 კაპ., 2) მარკებისა 28 მან., 30 კაპ., 3) სტამბისა 17 მან. 90 კაპ.; 4) პროგრამებისა 6 მან., 5) მუსიკისა 15 მან., 6) აფიშების გაკეთისა 3 მან., 7) პოლიციის დარბაზისა 2 მან., 8) საღამოსისა 60 მან., 9) სცენის მოწყობისა და დაშლისა 81 მან., 10) მომღერალისა 10 მან., 11) პარკინებისა 3 მან., 12) ლაქიებს დარბაზის გაწმენდისა და სამსახურისათვის 8 მან. და 13) წვრილმანი ხარჯებისა 19 მან., სულ 377 მანეთი. დარბაზი წმინდა შენოსავალი 583 მან., რომელიც დანიშნულებისაგან იქმნა გადაცემული.

აქედამ მოგვყავს შემომწირველთა სია: 1) ქუთაისის სახანდრო გუბერნატორმა 25 მან., 2) თავ. იოს. დიდიანმა 20 მან., 3)

სიკვდილამდე მისდევდა თავისს საგანს და წინადვე აღნიშნულს იღებოდა. ორჯერ ჰქონდა გარდაწყვეტილი სიკვდილი გარბალდის, მაგრამ გაუსხლტა მტრებს ხელიდან და გადავიდა ამერიკაში, სადაც ამ გენერალმა პირველში სანთლის ქარხანა გაართა და შემდეგ ჩაერია ბრძოლაში ბრაზილიის მთავრობის წინააღმდეგ. ომის დროს მრავალჯერ დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი გარბალდი თავისის გულად და გამჭირვალ მოქმედებით იხსნიდა თავს, რის გამოც მისი სახელი გადიქცა ლეგენდიურად არამც თუ იტალიაში; არამედ მთელს ევროპაში. რა წამსაც იტალიელები მოდიოდნენ მოძრაობაში, მაშინვე გარბალდი თავისს მეგობრებით ჩნდებოდა მათ შორის, მშეთაურობდა და, როგორც ნიჭიერს გენერალს, ბევრჯერ გაუტანია გამარჯვება ავსტრიელებსა და ფრანგებზედ, თუმცა ბევრჯერ დამარცხებულია კიდეც. როგორც წინად ვსთქვით—გარბალდის დევიზი იყო „რომი ან სიკვდილი“. ამისათვის ორჯერ გაილაშქრა რომზედ

თავისს კაცებით, მაგრამ ორჯერვე იძულებულ იქნა უკუ ქცეულიყო ფრანგების ჯარის სიმრავლის გამო, რომელიც მფარველობდა რომს და პაპის. მხოლოდ 1870 წ. 20 სექტემბერს, როდესაც საფრანგეთმა გერმანიის-მიერ დამარცხებული ნაპოლეონ III განდევნა, იტალიის ხალხმა შეიძლო რომის დაპყრობა. ცალკე დეკრეტით იტალიის მთავრობამ მიანიჭა პაპის ხელუხლებლობა მისის პირადობისა, მაღალ დირსების ხარისხი და თავისუფალი მოქმედება სასულიერო სფეროში; თვით რომა და მისი მიდამოები შეერთებული იყო იტალიისთან.

1871 წელს ვიქტორ ემანუელი დიდის ამბით შევიდა რომში და განაცხადა: „დღეიდან იტალია შეერთებული და თავისუფალია, ასე რომ მომავალში მარტო ჩვენგანთა არის დამოკიდებული მისი ბედი და იღბალი, ჩვენ თვით შეგვიძლიან გავხადოთ იგი ბედნიერი“. თუცა გარბალდის გეგმა ძირითად ეწინააღმდეგებოდა იტალიის მთავრობის გეგმას, მაინც 1875 წელს იგი შეუ-

რიგდა მთავრობას და ჩამოვიდა რომში, სადაც მას მაშინვე წლიურად 2000 მან. დაუნიშნეს პენსია, მხოლოდ გარბალდის უარი განაცხადა, რადგან თვით მისი ქვეყანა საკოლონობასა და სისაწყლემში იყო. ამ გვარად რომი გადიქცა იტალიის დედა-ქალაქად, მაგრამ იტალიელები არ დაკმაყოფილდნენ ერთობით, მათი ეროვნული აზრები და მოქმედება გადასცილდა საზღვარს და თვით-მოყვარებამ დაწყებინა ძებნა ძველის და ახლის დიდებისა. იმის მაგიერ, რომ, როგორც ახლად შეერთებული ხალხი, შესდგომოდნენ განათლებას, წოდების განსხვავების შესუსტებას, ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, იტალიის მმართველნი, აღკუთვნილი მარტო გადაპარბებულ ეროვნულ იდეებით, გაუდნენ ძებნას გარეგან დიდებისას, რომელმაც ბოლოს სიმწარის მეტი არა მოუტანარა. ამ მიმართულებისავე გამო აღიწყეს რომის გაგანიერება, გარეგანად გამშვენირება, წარადი-ნეს გეგმა გეგმაზედ დიდრონ სას-

ხლებისა სხვა-და-სხვა საადმინისტრაციო და გამგე დაწესებულებებისათვის; ერთის სიტყვით, უნდოდათ დაებრუნებინათ ეხლანდელ რომისთვის დიდება ძველის რომისა და გაეხადნათ ერთბაშად სატანტო ქალაქად სხვა სატანტო ქალაქების მსგავსად. ამ გვარ მისწრაფებისთვის ეხლანდელ პირობების დროს საჭირო იყო მომხადებული, განვითარებული, შემძლე და ფულიანი ბურჟუაზია, როგორც ინგლისში და საფრანგეთში, სადაც ამ წოდებას თავისი დანიშნული პროგრამა აქვს და თავისი განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე. ამ გვარი წოდება ჯერ არ იყო დამკვიდრებული ახალ რომში, ამისათვის მუშაობას მოჰქიდეს ხელი გასაწყლებულმა თავადებმა ნასესხ ფულებით, გაიმყვრა მოურავებმა, უკოდინარმა ჩარჩებმა, რომლებიც ამწენდნენ ზედი-ზედ სახლებს და დუქნებს იმ აზრით, რომ შემდეგში, როდესაც რომს ხალხი მოაწყდებოდა, ერთი ათად აელოთ დახარჯული ფული. თუმცა ხალხი არ მოაწყდა, 1870 წელს რომში

იოვლებოდა 226,000 მცხოვრები, 1897 წ.-კი 490,000. როგორც ხანს, ნახევარ მილიონამდე არ იყო წია. რასაკვირველია, ამ უკანასკნელ გარემოების გამო ჩამოვარდა ქონებრივი გაჭირვება, რომელსაც ვერ გაუძლო იტალიის ფეხზედ ახლად მდგომმა ჩარჩულმა ბურჟუაზიამ, როგორც უძლებენ ინგლისში ტრანსვალის ომს, და ეს გაჭირვება და სიღარიბე პირდაპირ გალხში დატრიალდა. დღეს ბევრგან შეხვდებო ადამიანი რომში ნახევარზედ დაწყებულ, დაუმთავრებულ და მინებებულ სახლებს, მღებზედაც ამოდის ბალახი და შარვინ არა სცხოვრობს, მაგრამ, იმეღია, როდესაც განათლების სხეულია, განათებს ხალხის სიბნელეს, გაქურ-ქვეშ ახალი ცხოვრება აუქვდება.

გიორგი დეკანოზიშვილი.



თავ. ს. დ. წერეთელმა 10 მან., 4) ბ. გოციშვილის საფარო სახლმა 10 მან., 5) თავ. პრაქ. შარვაშიძემ 5 მან., 6) თ. დ. ყიფიანმა 5 მან., 7) გენერალმა ხარნიკინმა 5 მან., 8) მკურნალმა ვორონოვმა 5 მან., 9) მკურნალმა თოდუნიამ 5 მან., 10) ბ. ვასილიევმა 5 მან., 11) მკურნალმა ტობოროვმა 3 მან., 12) ბ. რელიგინმა 3 მან., 13) ბ. აიდაროვმა 3 მან., 14) ბ. პაჩულოვმა 3 მან., 15) თავად კოტე ასლანის ძე წერეთელმა 3 მან., და ს. რომელთაგანაც შესდგა სულ 61 მან. 22 კაპ. ამასთანავე ბ. ლალიძემ თავის საგანდებლო წყლის ქარხნიდან შემოსწორა მდნის წყლები, რამდენიც კი საჭირო იყო.

სალამოს გამართველი და გამგე კნენია მარიამ ონისიძის ასული ერისთავის შემომწირველი, დამწერელი და აგრეთვე სალამოს გამართვაში მონაწილეობის მიმღებთ ღირს მალაშას უმღერის.

**ქალაქის საბჭომ.**

15 მისი.

გამგეობის წევრმა ხოსროვიმა მოახსენა საბჭოს გამგეობის დიდგენილები, რომლებიც უსახელო საზოგადოების დირექტორის ბ. ნ. რობის ცხენები განთავისუფლებულ იქნა გარდასახადისაგან. საბჭომ დაარღვია გამგეობის ეს დიდგენილება და გარდასწავიჭა, გაეწეროს გარდასახადი ბ. ნ. რობის ცხენებს. შემდეგ საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მიერ წარდგენილი საეკლესიო დიდგენილებიანი ქალაქის საყასბოს შენახვის შესახებ, გამგეობის წევრმა შესტაკოვმა წიკიონა გამგეობისა და საფინანსო კოპისიის მოხსენება ქალაქ ტფილისის 1900 წ. დეფიციტის შესახებ. საბჭომ დაადგინა, ეს დეფიციტი 17,541 მან. 63 კაპ. ქალაქის წყლის მილის შემოსავლიდან იქნას დაფარული. გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზაშვილმა წიკიონასა საბჭომ ინტენერთა ხატისოვისა და ბრილოვისკის განცხადება, რომელშიც ეს ინტენერები თხოულობენ ევლიამინოვის ქუჩიდან სოლოლაკის მთამდის ტრამვაის გაყვანისა და ამ მთაში გვირაბის გათხრის კონცესიას. ხმ. თავ. ბეჟუთოვმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ მესამეც წლებში შესდგა კომისია აღნიშნულ დიდგენების გამოსაკვლევად და საბჭომ ვიხელმძღვანელოთ იმ კომისიისა და განსაკუთრებით გეოლოგის აბიზის გამოკვლევებითაო. ხმ. ანანოვმა ჩვეულებრივ ენერგიულად სიტყვით დაუმტკიცა საბჭოს, თუ რა საარგებლობის მოტანა შეუძლიან ქალაქისათვის ამ ტრამვაისა და ტუბელის გაყვანას. ჩვენს გვერდით დასწრული საუნჯე, მეფე წყლები, მანოვიბა და რიგანად ვერ მოგვიმართაო. ხოლო ამ ტრამვაის გაყვანა ფრიად ხელს შეევიწყობს ამ წყლების გამოსაკვლევად. საბჭომ აირჩია კომისია ამ საგნის გამოსაკვლევად. კომისიაში კენქის ბოთი არჩეულ იქნენ: ხმონები: ს. შაბოვი, ანანოვი, ოსტროვსკი, ქოჩოროანი, კარაპეტოვი, ი. ს. ალიხანოვი, კ. მ. ალიხანოვი, წურონიოვი, ბილფელდი და თავ. ბეჟუთოვი. საბჭომ დაამტკიცა შემდეგ ღებულება სოლომონ და მისებრ არტ. ამირაიების სახელობაში სტანენდიების დარსების შესახებ მოსკოვის უნივერსიტეტში, დასწრულიდებოდ დასტოვა თეოდორე მკურნალის საჩივარი ქალაქის გამგეობის პასუხის გებაში მიცემის შესახებ.

**ქაბისის ზღვის პირად ცხმკრება**  
**ც. მარ-მეცხვარისა და ცხმკრისა დო-ლომა და მომხმება.**  
(შემდეგი \*)

ჩვენთვის ფარგების მოძორებით გაგმართეთ თბი ბომზედ მიწაში ამოჭრილი ერთ ადგილზე სიღრმით ხის ქობი, რომელსაც აგრეთვე საგვრდელი წნელით შემოვუწინით, როგორც ფარგებს, და შემოვუწინეთ გარშემო მიწა, რომ სიცივე არ ჩამსულიყო. სართული ზემოდან მალადი და მასთან მკარის თავსების გაკვეთეთ, რომ სიმძიმე სართულისა დაკმატებისა და ჭერი არ დამტრეკულიყო. შიგ ქობში მიწის ბაქანი შემოვუწინეთ, სადაც ღოკინი მოვთავსეთ და შუა ადგილს გავმართეთ ცენტრის სახით და ზურის საცხობი გავა. კარები ასრევე წნელის გაკვეთით და ზევიდგახეც უნდა, როგორც ცხვრის ფარგებს. ფარგში თბივე გუთხეზედ დაკატხეთ შიგნით მწვემების სწელი, წნელით შემოვარდული ღოკინები, რომ დამე უნდაში მტერი არ მკელი არ ჩავიდეს და ცხვარი არ მოიხარონ. უეფელზედ მტრად-კი ღვეების არის შიში, რადგანაც ვენახებში მრავალი ცრუად მოხეტიალე ღვეა მშერი და დამე ფარგში ჩასვლას და ცხვრის მიხარვას არ ურიდებან. ამიტომ სავითი კაცი უთუოდ შიგარდებულ უნდა იყოს ცხვართად ერთად ფარგში. ხშირად ხდება, რომ შიგნული მკელი უნდადგან ჩახტება და სხამ შეცხვრეს დალეული მთასწრებენ, სკამარის რიკებს ცხვრისას ამხეგრებებს.

დასით, სძოვარზედ, თბი ანუ სავითი შიგარდებულ მწვემში დასდევს ფარგს, რომლებს მოვალეობას შეადგენს მარტო ცხვრის მოძორება; ამთ უწოდებენ „ჩინებებს“ და მუდმივად ცხვარს უნდა ამოვებდნენ. მხოლოდ დანახებებს აბარია უოველ გვარი სავითა საქმე და ეწოდება — „მობინებები“.

როგორც ზემოდან მოგახსენეთ, უფროსი სარქალი გარ-გარობას ეწვეა და განაკებს უოველ გვარს საქმეს, ჩინების დე-დამე სავითის იცავს, მობინებე ბინაზედ მუშაობს და ამთ უეფლას ერთი ან ორი მხარეული ჭევეთ (მხარეული და ზურის მცხობი). სოვლით ცხვარი ვერ ისევ სსთლოში არის ხოლმე გავენებული, ბინებზედ რამდენიმე ვერსით მოშორებით, რომ სავითთა ბაღანი (ეორული) ადრე არ შეაჭამონ და სავითარში უდროოდ ბინების მახლობლად ბაღანი არ შემოაკლდეთ; ბინაზედ მშინ მორეკავებ, როდესაც სიცივეები დაიწყობა და სავითარი მოუხლოვდება. მაშინაც თუ ნ — გრადუსამდე სიცივე არ იქნა, მაინც ცხვარს ფარგში არ შერეკავებ და ფარგის წინ შემოწნულს ბაგში აყენებენ. თუ უეგრად ამიხი შეიგვალა და ჭამში ჩაყენებული წავლი გაიყინა, შეცხვარე ცხვარს შემოწნული ფარგში შერეკავს, თუნდაც ამ ამინდის ცვლილება გათენების პირდაც მოხდეს. სსოვად, დურადისა ცხვარს ხუთ თვემდე უმინან, ე. ი. მსუქანს სოვლის ცხვარს ემართება დურადი შემდეგ თვეებში: ღვინობისა, კიორგობის, ქრისტეშობის თვეში და იანვარში. დანარჩენს დროს დურადისა ფიქრი არ არის, რამდენადაც ცხვარი მსუქნია, იმდენად დურადი მტრს ჭუნებს და ანთება ფელტკებისა მტრს ემართება, ვიდრე გამსდარსა.

მოგა თუ არა ცხვარი ფარგში, შემოვარდნის მწვემს-სარქალნი თავს ერთად

ქობში და ეძლევიან ცოტადანად განცხვრება-მოსვენებას. მხოლოდ ესეა ედარსება მწვემის ცენტრალ-ბინას ქალაქის წინდების კახა-გამომშრადება, შერეულია წელ-შერევის კახისა-კახა და ტანისამისის გარეცხვა-გასუფთავება; აქ ედარსება ცოტად მაინც თვალის მასვე-ნება და შეძლებისა დაგვარად რიგანად გამომცხვარისა და რიგანად მოხარმულის საჭმლის ჭამა.

ბინაში მისული ცხვარ-მწვემში მოსვენებასთან არც ზატეც იკლებს; მოვალეებენ კაცის თვზედ საკლავს, ჭხიცამენ და სჭამენ, სხამ კათავდება; შირველს მოვალეებენ შერეს, შერეს — კადვე მესამეს და ამ რიგად დიდმარხვამდე ხორცი, მწვადი და ხინკალი შეცხვარის ბინაზედ მუდმივად მხადდება დღესასწაულებში არც წითელ ხუნუს იკლებენ, მტრადრე მშინ, როდესაც ამინდი კარგია, ცხვარი მშვიდობითა ჭევეთ და სხელიდგან კარგი, მშვიდობის ამბავი მოსდის. ღვინის სიცივე ხომ უფრო ადვილებს მწვემის ჭავას და სარჯს არ ურიდებან, რადგანაც ვენახებში მივიტანი უიზლიარის ღვინოს ვედროს (სავით თუნდა) 80 კაპიკადგან ერთ მხეთზედ მტრად არ ჭევიდს. მოვირთან სავითობით თავს შეცხვარებები ქობში, წამოუწვიან რუსულს ღვინისას „ბინახვას“, ბაღანით და წნელით გაკეთებულს ღოკინზედ და ქიფობენ; სკამენ, მდერინ და უკრავენ სავითების მამა-მამუელს ჩინკურს (ფანდურს) და ათხანინს ძველებურს სკამითა სავითადანო ღვესებს დასახანს. ამ დროს უმცროსი ჩინკები, რომლებიც სულ არა ჭხამენ ღვინოს, ანუ სკამენ და ისე მდერეს, რომ დროობას კაცი იმათ ვერ შეჭინახს, ფეხზედ ადგან, უმცროსობას ეწვიან და უფროსებს ემსახურებან: ზოგი მთავარი ღვინოს ასხამს, ზოგი ხინკალს აკეთებს, ზოგი ხორცს ჭხარმავს; ზოგი ახალ-ახალს მწვადს ასხამს მამოვრზედ და ცენტრზედ ატრიალებს და ზოგიც, უფროსებისავე ბრძანებით, ფარგს იარადით გარს უვლის:

— აბა, თქვენი ჭირით, — უხებება მათ უფროსი, ანუ სარქალი, — გარზედ გახედეთ, ძაღლებს ხმა მიეცით, ფარგს გარს შემოვარეთ, არქათა შეგვრცხვებს! ხომ იცით, მკ ძაღლებმა ჩვენზედ კარგად იცან ჩენი ამბავი, ჩენი დღესასწაული (ძაღლებს ღვესს და ჩინკებს ემსახან), თან იცან, რომ ღვინოსა ვსავით დღესასწაულებში; იტყვიან — ესეა გურჯები და ითვრებიან და ცხვარი თავ-დანებული იქნება ძაღლების ახაბარსა; მაგათი გულის მოგებაც იცან: რაც უნდა ავი ძაღლი იყავს, ქობში მონარეული ნაბდის ნაჭერი რომ მიუკლან, ძაღლი იმას ადარ მოეშება და მტერს ფარგში შესვლის დრო დაჩეება ან ერთი-ორი მოეწვენება, ძაღლებს შორს გაიტყვენ უფრთ და ამ დროს ხუთი-ექვსი-კი ფარგში ჩავლენ და უდროდგან ერთმანეთს მსუქანს ცხვრებს მიაწვდიან. უმცროსი ჩინკები ხელში იარადით მალი მად ფარგს უვლიან გარშემო, ოთხთებს ემსახრებან და ისევ ქობში შემოდან საუმცროსოდ. ხინკალში აყოლებენ სსოხუნჯად რადაც ხინკის და თვალადობით შესანიშნავს ქალს დასახელებენ: ვისაც ეს ნიშნახი ხინკალი კრება, თუ უცლო ბიჭია, ის ქალი იმისი ცოლი გახდება.

კალიმის-წვერა  
(შემდეგი იქნება)

გაქირვებული მდგომარეობა საძოვარ ადგილების უკონოობისა გამო და ის შევიწროვება, რომელსაც ამის წყალობით გლტები მამამულეთაგან ითმენენ. ქართულ უფრალ-გახეთებშიც არა ერთხელ ყოვილა ამის თაობაზედ ლაპარაკი. მარტო ქიზიყში-კი არა, ბევრგან სხვაგანაც მემამულენი სარგებლობენ ადგილის სიფიწოვით, იკერენ შემთხვევით თაიანთ მამულში შესულ გლტებთა სქონელს და შემდეგ დიდ ფულს აერთმევენ ვითომ წახდენილ ნათესობისათვის.

„მიდარე მემამულეთა ადგილებით, — სწერს ზემოხსენებული კახეთი, — ჩვეულებრივ ზედ აკრავს ხოლმე გლტებთა მიწა-წყალს და ისე დღე არ გაივლის, რომ მემამულეთა და გლტებთა შორის შეტაკება არ მოხდეს. ასეთ შეტაკებათა მიზეზი მემამულეთა სძოვარისა და სთიბ ადგილების ახრება ხოლმე გლტებთა საქონლის მიერ უმეტეს შემთხვევაში ვერავითარს ახრებას ვერ ჭხახავთ, რადგანაც მესაკუთრეთა ადგილებს დარჯათ მთელი ღვეიონი იცავს, მკარამ, ამისდა მიუხედავად, სავითა გლტების საქონელი მემამულის სახლგარს მიუახლოვდეს, რომ დარჯებმა ხელად წასხან ეს საქონელი და დაამწვედიონ. ამასთან არ ადგენენ არავითარ ოქმს, არ იკვლევენ ზარალის რაოდენობას, ასე გასინჯეთ, სოფლის მოხელეებსაც-კი არაფერს ატობინებენ. მემამულეებმა კარგად იცან, რომ დამწველულს საქონელს მალე თვით ზატონი მოიკითხავს. და მართლაც „დაწმამე“ გლტები მიდინ მემამულეებთან, ეხვეწებიან საქონლის განთავისუფლებას და ჭმირდებიან კიდევ ზარალის გადახდას მთავრობის მიერ დადგენილ ნიხრის მიხედვით. მკარამ მიწის-მფლობელები ამ ნიხრს არა სჭერდებიან და ზარალის ადგენას თავიანთის საკუთარის ნიხრით თხოულობენ: ორ ძროხაში 15 მანეთს ართმევენ, ორ ხარში 10 მან., რვა ძროხაში 45 მანეთს! ასე აფასებენ მემამულენი ზარალს, ნამდვილად-კი ეს ზარალი 1 მან., 1 მან. 50 კაპ. ძლიერს ადამტება ხოლმე. სხირად გულ-შემზარავ სურათისა ჭხახავთ მემამულის სახლის წინ. გლტებთა წინდგანეე გამოსულ და სხვა-დასხვა ხრიკებით ქონებრივად გასუქებულს „მემამულის“ წინ სდგას შემდოდ, ფენ-შეშველი, დაგვეფილ-დაფეთილ ტანისამისში, გლტები და ემუდარება საქონლის განთავისუფლებას. მემამულე ჭევივის, ევირის, ივირებს უმეორის სიტყვებით და სთხარს ამ გლტის საქონლის „გამოსასვილად“ 10—15 მანეთს“.

„ — თუ ფული არა გაქვს, — უხებება ბოლოს მემამულე, — ჩემს უნაში იმუშავე, თორემ შენს საქონელს არ გამოვუშვებ, დეე, შიმშილით მოგვდეს!..“

და ყოველის მხრით შევიწროებული გლტებიც იმ დროს, როდესაც სწორედ მუშა ხელია აკირო, თავს აწებებს თავისს ყანას და მემამულის ყანაში მარის სამუშაოდ

\* \* \*

ვერც ერთს რუსულ გაზეთს ვერ გადაშლით დღეს, რომელშიაც რამდენიმე წერილი არ იყოს დაბეჭდილი სამოსწავლო საქმის განზრახულ რეფორმის შესახებ. უმრავლესობა ქურნალ-გაზეთებისა, რისაკვირველია, სხარულით მიეგება მთავრო-

ბის ამ განზრახვის, მეტიველია რომისეთიც, რომელთაც აზარტრად ევაშნიკად ამ გვარ საქმის დაწყება. მკითხველებს ესხომებათ უთუოდ საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი, რომელშიაც მინისტრი სთხოვდა უნივერსიტეტის პროფესორებს, გამოეთქვათ თაიანთი ახრი იმ ცვლილებათა შესახებ, რომელთა უნივერსიტეტში შემოღებაც სასურველია, აი მინისტრის ამ ცირკულიარმა ძალიან ააღლია გაზეთი „Лражданин“ -ი.

„უნივერსიტეტს უოველისაო, — სწერს კახეთი, — საცნობელია შემდეგი: ვინ უნდა გამოსთქვან თავიანთი ახრი? მხოლოდ ერთა იმ დროცა იცემს, სადაც, როგორც ეს საერო განათლების სამინისტრომაც კარგად უწვის, ხმის უფლება აქვთ მხოლოდ მთავრობის საწინააღმდეგო დასის წარმომადგენელთ, ხოლო ხმას მოკლებულნი არიან ის მხოლოდსოვები, რომდინც ზატეცს სტემენ შეცნებებას, უნივერსიტეტში წეს-რიგის დამყარებას თხოულობენ და რომელთაც ახალგაზდობა უფართ.“

„ამის გამო ძნელი გამოსაცნობი არ არის მხოლოდსოვთა ახრი. ისინი მოითხოვენ უნივერსიტეტისათვის განუსახდურელს ავტონომიას და ახარქიულ კანსტიტუციას; ხოლო იმ მხოლოდსოვებს, რომდინც სინდისს არასოდეს არ გადაუხვევენ და სტუდენტებისა, შეცნებებისა, წეს-რიგისა და მთავრობის ინტერესებს იცავენ, ხმას არ ამოაღებინებენ. ასე იყო 40 წლის წინად, ასე იყო მე-70 და მე-80-ე წლებში, ასე იყო მე-90 წლებში და ასევე იქნება ესდგ“.

\* \* \*

რუსული სამხედრო ქურნალი „Развѣдчикъ“-ი ძალიან აუღელვებია იმ ვითომ-და ცრუ ცნობებს, რომელიც საზღვაო-გარეთელ გაზეთებში იბეჭდება რუსების შესახებ. თავის სიტყვების დასასაბუთებლად ქურნალს შემდეგი ამბავი მოჰყავს, ქურნალ „Lyon medical“-ის მიერ ნაუწყები:

„როგორც ვუწვი, ბევრი ცხველი და მწერი ზამთრობით იძინებს და იღვიძებს მხოლოდ გაზაფხულზედ. ასეთ ჩვეულებას ზსოვარს გუბერნიის რუსს გლტებთა შორისაც შეგვხვდებით. ამ გუბერნიაში დაუსრულებული შიმშილობა იცის. გლტები, რომელთაც არ ძაღ-უთ მთელის წლით თავის გამოკვება, მხოლოდ ნახევარს წელიწადს ისახრდობენ თავს. უხსოვარ დროდგან, შირველ თოვლის მოხვლისათხვე მთელი ოჯახი დუმელის წინ იკრებება, წვება იქვე ახრს და ფიქრს თავს ახებებს და ხანგრძლივ ძილს ეძლევა. იღვიძებენ ოჯახის წევრნი დღეში ერთხელ, რათა თითო ზაწავისა ნაჭერი გამხმარი ზური შესჭამონ და შერე ძილსეე მიეცენ. ამ ზურს, ექვსის თვის საგადას, გლტები წინდაწინეე იმხადებენ. რიგობით ოჯახის თითო წევრი ფხიზლობს, რომ ცენტრს თვალ-ურთ ადევნოს, ნ თვის ასეთის ეკონომიურის ცხვარების შემდეგ ოჯახი იღვიძებს და საზაფხულო მუშაობას იწყობს. ამ დროს არე-მარეს სიცივსეე ეტობა მერე ზამთრამდე, როდესაც თოვლით დაფენილ სოფელში ხვინვის მტეი არა მოისმის-რა“.

ამის გამო „С.-Петербург.-ი სწერს:

**ნარკვევი**  
(ქურნალ-გაზეთებიდან)  
რუსულ გაზეთ „Донск. Рѣчь“-ში აწერილია სიღნაღის მაზრის გლტებთა

\* იხ. „ივერიკა“ № 101.

„სატიფიკაციო სახელმძღვანელო“  
 (ი. ი. „Розвѣд.“-ი) უნებურ შე-  
 დამში შესულა. საქმე ისაა, რომ  
 სკოლის გუბერნიაში საერთო სტა-  
 ტისტიკამ მართლაც აღნიშნა ზემო-  
 ხსენებული მოვლენა: გლეხები, სხე-  
 ულის მოთხოვნისათა შესასრულე-  
 ბლად, უმთავრესად, უმადრად, თი-  
 თქმის სულ ძალი ატარებენ დღე-  
 დამს, რის წყალობითაც მეტად მდი-  
 რე საკვები სჭირდებათ ხალხს.  
 „ივერი“ იქ შემოიღო წინააღმდეგ  
 ერთგვარ საბრძოლველ საშუალებად  
 გარდაიქმნა. ამ მოვლენის შესახებ  
 მარშალ გ. ს. „Кур.“-ში დიდი  
 წერილი იყო დაბეჭდილი და ფრან-  
 გულს ურნასსაც უთუოდ იქიდან  
 გადაუბეჭდა.“

## უცხოეთი

**ინგლის-ბრანშაალის ომი.** თუ  
 რომ გზ. „Berliner Tageblatt“-ის  
 ლონდონელს კორესპონდენტს ვერწმუნე-  
 ბით, საზოგადოებათა შორის ამ წინა-  
 ზედ ხმა გაუფრთხილებათ, ვითომ ფულ-  
 მარშალს ღირს კიტინერს განზრახვა  
 ჰქონდეს სამხრეთს აფრიკაში ინგლისის  
 მხედრობის მთავარ-სარდლობას თავი  
 დაანებოს. მიზეზი კიტინერის სამხ-  
 სურდგან გადადგომისა ის თურმეა, რომ  
 მთავრობა დროულად მიმხვედრს წარებს არ  
 უგზავნის და ამით საქმე ძლიერ უჭირ-  
 დებათ

და არც თუ დაუფრთხილებია რამე ამ  
 ამბავში, თუ ამ ბოლანდელს სამხედრო  
 სასტატისტიკო ცნობებს გაეხსენებთ.  
 ბრიტანის სამხედრო სამინისტროს  
 მიერ გამოქვეყნებული ცნობებით, 1-  
 მაისამდე სამხრეთს აფრიკაში ინგლისს  
 ჰყოლია სულ 249,416 ოფიცერი და  
 ჯარის-კაცი. ამრიგად დამლეულნი კრი-  
 დობისა და ავადმყოფობისაგან მოჭკუ-  
 დობია 14,978 კაცი; დაუკრძალ  
 17,209 ოფიცერი და ჯარის-კაცი; სა-  
 მშობლოში გაუგზავნიათ 75,582 კაცი  
 და ამათგან დაჭრილი და დაშავებული  
 კიდევ ნახევრება 20 მაისს: 4 მოკლე-  
 დი, 15 დაჭრილი, 16 ავადმყოფობი-  
 სგან მკვდარი და 149 მძიმე ავადმო-  
 ფი.

ამ ამბის შემდეგ სწორედ რომ ადვი-  
 ლად დასაჯებელია კიტინერს გული  
 გასტეხდეს და არც-თუ-და ჰქონდეს  
 იმედი იმის მალე შეწყვეტისა. ეს გა-  
 რემობა-გი, უკვე არ არის, არც მთა-  
 ვარ-სარდლისთვის არის სასახლე და  
 თავმოყვარე მეომარი, თუ რომ შეი-  
 ლება კიტინერს ასეთებს მივწერთ,  
 მუდამ ეცდება ამ სამხრეთის სამხედ-  
 რო უმთავრესად თავი რაკონტო და  
 აღწიოს...

„გაზის სააგენტოს“ შემდეგ  
 ატობანებენ: გენერალის ბეჭდის ჩრდი-  
 ლეთ-ტრანსვალში გადასწრებას ის შე-  
 დები მოჭკუა, რომ ბურების უმე-  
 ტისობა იქილებული შექმნის დასა-  
 ლეთისაგან დაეხია, თუმცა ერთი ნაწილი  
 ამათი ჯერჯერობით კიდევ ზუტანსხურ-  
 გის ჩრდილოეთითა სდგან. დღესათვის  
 თავისი დასასრული ჯარი ისევ შემოა-  
 რება. ერთდროს მიდამობიდან მრავალი  
 ბური დედარეის ჯარში გადავიდა, რა-  
 მელმაც ორანჟის რესპუბლიკაში ჯარების  
 შეგებისა და მოწყობის სასტატისტიკა  
 ს. გენერლები მეტრები და ბაინტო-  
 ნი დაქრებიდან ჯერ არ დაბრუნებუ-

დნ. რკინის გზის დასაწყისს დასა-  
 ვლად ხალის სასტატისტიკის შეშუშებაში  
 10,000 ჯარის-კაცი განთავსდნა, რა-  
 მელმაც მეტრულად მისივე შექმნილი  
 ორანჟის რესპუბლიკაში შეიქმნა ჯარები  
 მახლობელ ოლქებს ანადგურებენ და  
 ახრებენ. დასავლეთისაგან კიდევ არის  
 რამდენიმე რაზმი. მაგრამ (?) პეტრუს-  
 ბურგიდან სამხრეთით მთელი ოლქი  
 ჰქრცისა და ბრანდის ხელშია. დეკტ-  
 მა თავისის დაქრებით 40 კაცი მარ-  
 თლად-და საკვირვებლად ჩადნა. წავიდა  
 ვრედელან, მივიდა ერმელში, შერე  
 ნელსტრამთან რკინის გზის დასა-  
 დაგი გადასწრა და სამხრეთ-აღმოსავლეთ-  
 თისაგან გასწრა. რამდენიმე დღეს მარ-  
 მოკში დაწნა და შერე ისევ ბოსტო-  
 სს და ფილანდისისაგან წავიდა სამხ-  
 რეთით, სადაც მას ჰქრცოვი უცდიდა  
 სასახლად.

აქედან ამკარდა სხანს, რომ არამც  
 თუ მხალდა ჩრდილო ტრანსვალში,  
 არამც მისი სამხრეთი ნაწილიც ისევ  
 ბურების ხელშია და ინგლისელების და-  
 შქრება და დეკან დეკეტისა და ბურების  
 სხვა გენერლებისა სულ ფუჭია.

### შურნალ-გაზეთიანი

ამოკრებილი ამბები  
 ცნობილი ჰაერონავტი ლუი გოდარი ამ  
 ზაფხულს ჰაეროსტატით აპრობის ნიუ-ი-  
 რკიდგან ანტლანტის ზღვარზე საფრანგე-  
 თში გადაფრენას. დღემდე ამოღენა მანძი-  
 ლი არავის გაუვლია ჰაეროსტატით. გოდ-  
 არის ჰაეროსტატი, რომლითაც გამბედავი  
 მოგზაური ოკეანეზე გადაფრენას აპრობის,  
 რვა ერთი ერთმანეთში ჩადებული ბურთი-  
 სგან შედგება. რვა ბურთი საჭიროა სა-  
 თადარიგო გაზის შესანახად. დაჯდა ჰა-  
 ეროსტატი სულ 200,000 ფრანკი. გოდარს  
 იმედი აქვს, რომ მთელ გაზს ათ დღეში  
 გაივლის.

ამ ბოლოს დროს მეტად დიდი ყურად-  
 ლება მიიქცეს სეტყვასთან ბრძოლას ზარ-  
 ბანების ანუ, როგორც ეძახიან, მორტირე-  
 ბის შემწობით. როგორც ვუწვით, ჩვენში-  
 აც (მაგალითად, კახეთში) მიმართეს ამ  
 გვარ საშუალებას, გულ მოდგინდნენ მოიკ-  
 დეს ამ საქმეს ხელი განსაკუთრებით იტა-  
 ლიასა, უნგრეთსა, ავსტრიასა და საფრან-  
 გეთში. იტალიაში დღეს უკვე 10,000  
 სეტყვასთან საბრძოლველი სადგურია გამა-  
 რთული, უნგრეთში — 1,400. ავსტრია და  
 საფრანგეთში თითოში — 1000 სადგური.  
 თუ რა ზარალი მოაქვს სეტყვას ნათესობი-  
 სათვის, გგონებთ, ყველამ კარგად უწყის.  
 მინც მეტი არ იქნება ორიოდ ცნობა მო-  
 გვიყვანთ ამ ზარალის შესახებ. საფრანგე-  
 თში, მარტო რომის დეპარტამენტში 1897  
 წელს სეტყვამ მცხოვრებთ 13,000,000  
 ფრანკის ზარალი მოაყენა; ხოლო რვა წლის  
 განმავლობაში 1890—1897 წლ.—  
 47,000,000 ფრანკისა. ასეთსავე ზარალს  
 აღუეს სეტყვა ჩვენს მცხოვრებთაც, კლინ-  
 ვენის გამოანგარიშებით, საუფლისწულო  
 უწყებას მარტო კახეთში სეტყვისაგან ყო-  
 ველ წელიწადს 100,000 მანეთის ზარალი  
 მოსდის.

ბრიტელში ერთის მდიდარის ქარხნის  
 პატრონის ხარჯით არსდება „სოციოლოგი-  
 ური ინსტიტუტი“. ინსტიტუტს ორი გან-  
 ყოფილება ექნება: ერთი დანიშნულია სო-  
 ციოლოგიურ გამოკვლევათათვის. ამ გან-  
 ყოფილებაში ყველას შეეძლება მუშაობა.  
 იმის ხელთ იქნება მდიდარი წიგნთ-სა-  
 ცავი, სასტატისტიკო ცნობები; შეეძლება  
 განყოფილების მეშვეობით მიწერ-მოწერა  
 იქონიოს სხვა ამ გვარ დაწესებულებებთან  
 როგორც თვით ბელგიაში, ისე საზღვარ-  
 გარეთ. ზოგს მოეშუავენ ამ ინსტიტუტში  
 სტიპენდიაც კი დანიშნება. ამ განყოფი-  
 ლების უფროსად არის ემილ ვაკსელიერი,  
 ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი.  
 მეორე განყოფილება უფრო სოციოლოგი-  
 ურ ფაქულტეტს წარმოადგენს. წავიკთხა-

ვენ ეკონომიურ საგნებისა, ანტროპოლო-  
 გიისა, ფსიხოლოგიის და სხვა კურსებს.  
 ვინც ეგზამენს დაიქვრს, იმას ლიცენცია-  
 ტისა და დოქტორის ხარისხი მიენიჭება.

## დეკემა

(„რუსეთის დეკემბრის სააგენტოსაგან“)  
 14 მაისი.

**ნაბარაშაია-ჩილნი** (უფას გუ-  
 ბერნიისა). ზაინსკში გაჩენილი  
 ცეცხლმა 600 კომლი გადაჭრება;  
 დაზარალებულნი 3,000 სულამდე.  
 15 მაისი.

**აბბაზაზგბი.** 14 მაისს პეტერ-  
 ბურგი ბიარალებით იყო შემკული.  
 ყოველს ეკლესიაში პარაკლისები  
 იქმნა გარდახდილი. ისააკის ტაძარ-  
 ში ღვთის მსახურება აღასრულა  
 მიტროპოლიტმა ანტონიმ. საღამო-  
 ზედ ქალაქი გაირიღებულ იყო.

**ბრისტ-ლიტოვსკი.** 28 აპრილს  
 გაჩენილია ცეცხლმა 553 სახლი გა-  
 დასწრა; დაზარადა 494 სახლის  
 პატრონი და 20,000 მდგმური,  
 რომელნიც უთავმესაფაროდ და  
 ყოველად უსახსროდ დარჩნენ. ზარა-  
 ლი 7 მილიონამდე იქნება. დაზარა-  
 ლებულთა დამხმარებელი კომიტეტი  
 სთხოვს რედაქციებს ხელის-მოწერა  
 გაჰმართონ შემოწირულებათა შე-  
 საკრებად.

**ნიშნი-ნოვოროდნი.** გარდაცვა-  
 ლებულ ქნ რუსეთში იკავის მემკ-  
 ვიდრებმა ქალაქის თვითმართველო-  
 ბას 80,000 მან წარუდგინეს საბავ-  
 ეო საავადმყოფოს გასაპართავად. ეს  
 ფული ანდერძის წერილით შეუწი-  
 რავს განსვენებულს.

**შანჯაი.** „China marchand C“-მ  
 კელაე ბრძანება მიიღო დაიწყოს დატ-  
 ვირთვა ბრინჯისა, რომელიც და-  
 ლად იკრიბება, ტიანძინში გასაგზავ-  
 ნად. ეს გარემოება იმის მომასწა-  
 ვებლად მიანიჭა, რომ საიმპერატო-  
 რო კარი ჩქარა დაბრუნდება პეკინ-  
 ში.

**პაპრი.** ფორთხალი, რომელიც  
 საერო დასის წევრმა პარფემ სრო-  
 ლა ვალდეკ-რუსოსს, მინისტრ-პრე-  
 ზიდენტის მეუღლეს მოხვდა და თა-  
 ვი ოდნავ დაუშავა.

**ლონდონი.** ოფიციალურად იუ-  
 წყებიან, რომ აქ შავის ქიოთი ავად  
 გახდა ორი ჯარის-კაცი, რომელნიც  
 კაპიტალიდან იყვნენ დაბრუნებუ-  
 ლნი.

**კაპუბაბტი.** 13 მაისს შავის ქი-  
 რით ავად გამხდართა რიცხვი იყო  
 608, ამათგან 308 გარდაიცვალა.

**ლონდონი.** როგორც დებეშე-  
 ბით იუწყება კიტინერი პრეტორი-  
 იდგან, ბურები ძლიერის ჯარით  
 10 მაისს დასცემიან ინგლისის ჯა-  
 რის სასურსათე ურუმესა ვენტურ-  
 სლორფსა და პორტფესტროს შუა.  
 თავს დაცემულნი უკუ უქცევიანთ.  
 ინგლისელთაგან მოკლულია 4 და  
 დაჭრილი 30. ურუმები დანიშნულს  
 ადგილას მისულან.

**მიდლზუზგბი.** 16 ბური დაჰმო-  
 რჩილდა ინგლისელებს; თან მიიყვა-  
 ნეს 12,500 ცალი სხვილ-ფეხი სა-  
 ქრნელი, 12,000 ცხვარი, 30 ცხენი  
 და 12 ურემი, რომელიც უფროსს  
 ოპენგემს ჩაებარებინა ამათთვის  
 ჩრდილოეთისაგან გასაგზავნად.

**პეკინი.** ვალდერზე დედა აზრის  
 მხრივ საესებით ეთანხმება ლიხუ-

ჩანგის ამა წინადადებთ: 1) გაიყვა-  
 ნოს ჯარები პეკინიდან, როდესაც  
 საეფო ჯარი პეკინისაკენ წამოვა; 2)  
 ნება მისცეს ჩინეთის სამხედრო  
 პოლიციას ნელ-ნელა ჩაიბაროს პე-  
 კინის მხლობელი ოლქები; 3) ნე-  
 ბა დართონ, რომ იუანშიკაი სამ-  
 ხედრო ჯარი, 3,000 კაცისაგან შე-  
 მდგარი, მოვიდეს პეკინში, რათა  
 წესიერება დაიკვას უცხო ქვეყნელ-  
 თა წასვლის შემდეგ. მორიგება ჯერ  
 საბოლოოდ არ არის დადგენილი.

**პეკინი.** სხვა-და-სხვა ერის სამხე-  
 დრო წოლების კაცნი, როგორცა  
 სჩანს, იმ აზრისანი არიან, რომ ჩი-  
 ნეთის საქმე ჩქარა გარდაწყდება და  
 ჯარი განათავისუფლებს ამ ქალაქ-  
 საო. ბრიტანის სამხედრო გემებს  
 უკვე ბრძანება მოუვიდათ მხად იყ-  
 ნენ გასასვლელად. ვალდერზე ივ-  
 ნისის ნახევრისათვის აპირებს ჩინე-  
 თიდან წასვლას. ჩინეთას იმპერა-  
 ტორმა ბრძანება გასცა სასახლეები  
 მოამზადონ სამეფო სახლის დასახე-  
 დრად.

**საბაროვსკი.** 11 მაისს ვლადი-  
 ვოსტოკის საბჭოს დარბაზში დიდს  
 ამბით იქმნა გარდახდილი ათის წოის  
 შესრულება იმ დღიდან, როდესაც  
 ამ ქალაქს ეტუმრა მემკვიდრე ცე-  
 სარევი, აწ მშვიდობიანად მემფო-  
 ბი ხელმწიფე იმპერატორი.

**კაპუბაბტი.** ოფიციალურის ცნო-  
 ბებიდანა სჩანს, რომ შვედის რა-  
 ზში მთებში იმყოფება თურმე, ავერ-  
 დინის ჩრდილოეთით, და დიდად  
 არის გაქირვებული. 600 ბურმა,  
 რომელნიც ორ რაზმად მიდიო-  
 ნდნ სამხრეთისაკენ, რკინის გზის  
 ლიანდაგი გადაიარეს ტებუსის აღ-  
 მოსავლეთით.

**სოფია.** კონტრ-ადმირალი ბი-  
 რილივი, რუსეთის ხმელთა შუა  
 ზღვის ესკადრის უფროსად ნამყო-  
 ფი, მოვიდა აქ. თნახლავს კონს-  
 ტანტინებოლში რუსეთის სამხედრო  
 წარმომადგენელი პეტროვი. ბირი-  
 ლოვს მთავარი ინახულებს.

**მოსკოვი.** გარდაიცვალა ქარვას-  
 ლისა და საოპერო თეატრის პატ-  
 რონი სოლოდოვიკოვი. მისს ქო-  
 ნებას 20 მილიონად აღრიცხავენ.

**პეკინი.** ელჩებს იმედი აქვთ, რომ  
 კიდევ რ მდენიმე სხდომა დასკირ-  
 დებათ, რათა განხილულ იქმნას დარ-  
 ჩენილი საქმეები და სამეფო კარს  
 გზა გაეხსნას პეკინში დაბრუნები-  
 საო. დიდს მნიშვნელობას აწერენ  
 აქ მიღებულს ბრძანებას, რომლი-  
 თაც ლიხუნგანგსა და ცინს მოწე-  
 რილი აქვთ რაც შეიძლება დააქა-  
 რონ მოლაპარაკების დაბოლოებება  
 და ამითი მისცენ შეძლება სამეფო  
 კარს პეკინში დაბრუნებისა. ბრძანე-  
 ბაში ამასთანავე ევალებათ ლიხუნ-  
 განგსა და ცინს უზრუნველ-ჰყონ  
 მოკავშირე სახელმწიფოების ჯარის  
 ჩინეთიდან გასვლა. აქაურს სადი-  
 პლომატოო წრეებში იმ აზრისანი  
 არიან, რომ სამეფო კარს დიდად  
 ჰსურს პეკინში დაბრუნება, რადგან  
 სიანფუში ცხოვრება მოუხერხებე-  
 ლიაო. წარჩინებული მანდარინები  
 იმპერატორის დახვედრის საშაღის-  
 ში არიან.

**ლონდონი.** კიტინერი დებეშით  
 იუწყება პრეტორიიდან, რომ უკა-  
 ნასკელ მოხსენების შემდეგ ბურ-  
 თაგან 63 მოკლულია, 36 დაჭრი-  
 ლი, 267 ტყვედ წაყვანილი და 83

თავისის ნებით დატოვებულნი  
 დაელოდ ადებულნი 24 მათგან; დი-  
 ძალი საომარი მასალა, 179 ურემი  
 და აგრეთვე დიდ-ძალი ცხენი და  
 ბირუტყვიო.

**პეკინი.** ზღვის ჯარის ცხენტა-  
 ში წასვლა უკვე დაიწყო. მართლ-  
 მსაჯულების საქმე პეკინის იმ წაწ-  
 ლებში, რომელიც ნემცთა ჯარს  
 უჭირავს, დროებით, საცდელად  
 ჩინეთის მოხელეებს დარდაცემით.

**პეკინი.** სამხედრო სასყიდლო  
 საქმე უტყველია კარგად დაბოლო-  
 დება ინგლისის წინადადების თან-  
 ხმად, რომელსაც თან-და-თან მო-  
 წყალე თვლით უყურებენ. მოკა-  
 შირე სახელმწიფოანი მოითხოვენ,  
 რომ საიმპერატორო ბრძანება იქნას  
 გამოცემული და ამ ბრძანებაში  
 აღიარებული იყოს ჩინეთის ვალდ-  
 ბულება 450 მილიონ ტელისა და  
 ამ ფულის სარგებლის გარდახდისა.  
 დიდნი სახელმწიფოანი მხოლოდ მა-  
 შინ შეუდგებიან ჯარების გაყვანას.  
 ჩინეთი უთუოდ დაეთანხმება დიდთა  
 სახელმწიფოთა მოთხოვნისებს და  
 დასთანხმდება.

16 მაისი.  
**ბრიუსელი.** გამოქვეყნებულია  
 ოფიციალური დებეშა, გააგზავი მი-  
 ლებული, რომლიდანაცა სჩანს,  
 რომ 20 აპრილს კალგევილთან,  
 პრეტორიის ახლოს, ბურებს ბაი-  
 რისა და ბრეტენბახის უფროსობით  
 დაუმარცხებიათ ინლისელები. ინ-  
 გლისელთაგან 49 კაცი მოკლულია,  
 159 დაჭრილი და 60 ტყვედ წა-  
 ვანილი. ამას გარდა, ბურებს ექვსი  
 ზარბაზანი წაურთმევიათ ინგლისე-  
 ლებისათვის.

**პრეტორია.** პოლონევიკმა კო-  
 ლენბრანდტმა ტყვედ დაიჭირა 500  
 ბური პორტუგლის ახლოს.

**ბერლინი.** საფრანგეთის გენერა-  
 ლი ბონნელი, რომელიც იმპერა-  
 ტორმა მოიწვია გაზ. ფხულის აღ-  
 ლუმებზედ დასასწრებლად, მოვიდა  
 და თან მოიყვანა პოდპოლკოვნიკი  
 გალლი. იგი დაესწრო სამოსწავლო  
 ქვეითა ბატალიონის დაარსების წლის-  
 თავის დღესასწაულს პორტლანდში,  
 ის შემდეგაც გენერალი იმპერატო-  
 რის მიერ მოწვეული იყო სადილად.

„Lokal Anzeiger“-ი სწერს, რომ  
 ამ უცხო ქვეყნის ჯარებისათვის,  
 რომელნიც ჩინეთში რჩებიან, უმე-  
 ველია ახალი მთავარ-სარდალი იქ-  
 ნება საჭირო, რომლიდაც უთუოდ  
 ფრანგ გენერალს დანიშნავენო.

**პრეტორია.** გუშინ ბურთა ჯა-  
 რის უფროსი შემანი მისი სახლობა  
 და მემორები ჰსინჯავდნენ შემანის  
 მიერ სახსარად და სასაცილოდ შე-  
 ნახულს ლიდერის ყუმბარას. სინ-  
 ჯვის დროს ყუმბარა გასკდა. შემა-  
 ნი იქავე მოკლულ იქმნა, მისი ქა-  
 ლიშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა;  
 შემანის ცოლი და ორიც სხვა დამა-  
 რე მძიმედ იქმნენ დაჭრილნი. შე-  
 მანი ამ ბოლოს დროს მშვილობა-  
 ნობის დამყარებასა სცდილობდა;  
 როდესაც ინგლისელებმა პრეტორია  
 დაიპყრეს, იგი დამპირილდა, შე-  
 დგე ბურებმა ტყვედ დაიჭირეს, მა-  
 რამ როდესაც ინგლისელებმა პე-  
 ტრსბურგი დაიპყრეს იგი განთავი-  
 სუფლებულ იქმნა; მას შემდეგ შე-  
 მანი პრეტორიაში სცხოვრობდა.

**ლონდონი.** ოფიციალური მო-  
 სენება ინდოეთში არსებულ შემ-  
 ლის შესახებ იუწყება, რომ 455,000  
 ადამიანს ეძლევა დახმარება.